პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივნისი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 136 (15046)

საკლესიო ცნობა

„სალუტი“ განაგრძობს ორბიტულ ფრენას

ფრენის მართვის ცენტრი, 14 ივნისი. (საკდესი). 13 ივნისს 22 საათსა და 53 წუთზე მოსკოვის დროით პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“ დედამიწის 108-ე შემოფრენის დროს შევიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რადიოხილვადობის ზონაში.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ, წარმატებით ასრულებენ ფრენის პროგრამას. სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

14 ივნისს დილის 9 საათისათვის სადგური „სალუტი“ იყო ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 277 კილომეტრი; — მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 255 კილომეტრი;

— დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 89,6 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

„სალუტ“ სადგურთან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი. საბჭოთა კავშირის საკომანდო-საზომი კომპლექსი აწარმოებს სისტემატურ ტრაექტორიულ გაზომვებს და სადგურიდან იღებს ფართო სამეცნიერო ინფორმაციას.

ფრენის მართვის ცენტრი, 14 ივნისი. (საკდესი). „სალუტ“ სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი განაგრძობს მეცნიერული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების დასახული პროგრამის შესრულებას.

სამუშაო დღის მანძილზე წარმოებდა ექსპერიმენტები ნავიგაციის ავტომატური სისტემის დასახვეწად. ბორტინჟინერი ვლადისლავ ვოლკოვი და ინჟინერ-გამომცდელი ვიქტორ პაცაევი ასრულებდნენ სანავიგაციო გაზომვებს, რომელთა შედეგების მიხედვით ვიქტორ პაცაევი საბორტო ციფრობრივი გამოსათვლელი მანქანის საშუალებით განსაზღვრავდა სადგურის ორბიტის პარამეტრებს.

სხვადასხვა ბუნებრივ წარმონაქმნთა სპექტრული მახასიათებლების მისაღებად კოსმონავტები აწარმოებდნენ დედამიწის ზედაპირის ცალკეული ნაწილების სპექტროგრაფირებას.

კოსმონავტები აკვირდებოდნენ დედამიწის ღრუბლის საფარს, თვალს ადევნებდნენ ტაიფუნებისა და ციკლონების წარმოშობას, იღებდნენ დედამიწის ზედაპირის ფოტოსურათებს. კვლავ გრძელდებოდა ერთობლივი მეტეოროლოგიური ექსპერიმენტი „მეტეორის“ ეანამგზავრთან ერთად.

კავშირის ერთ-ერთი სეანსის დროს კოსმონავტებმა გადმოსცეს სატელევიზიო რეპორტაჟი.

თვალის აკომოდაციური უნარის შენარჩუნების განსაზღვრისათვის ხანგრძლივი ოპტიკური დაკვირვებისას კოსმოსური ფრენის დროს სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით მოეწყო კოსმონავტთა თვალების აკომოდაციისა და კონვერგენციის კვლევა. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა 30 წუთის განმავლობაში, როცა სადგური დედამიწის განათებულ მხარეზე იმყოფებოდა.

კოსმონავტების ცნობებითა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს, ნაკვეთურებში დაცულია გათვალისწინებული პირობები.

„სალუტ“ სამეცნიერო სადგურის მეთაურის გიორგი დობროვოლსკის მოხსენებით, ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

12 საათსა და 30 წუთზე „სალუტ“ სამეცნიერო სადგური გასცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონას. სადგურის ეკიპაჟთან კავშირი ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი ხომალდის „აკადემიკ სერგი კოროლიოვის“ და კავშირგაბმულობის თანამგზავრის „მოლნია-1“-ის საშუალებით.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐᲡ — ᲛᲬᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲐ!

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ შემდგომი განვითარების, ამ დარგის რენტაბელობის ერთ-ერთი უპირველესი გარანტია პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებაა. სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „დიდმნიშვნელოვან ამოცანად რჩება მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესება და უფრო სრულად გამოყენება, თივის, ბალახის ფქვილის, სილოსისა და სხვა წვნიანი საკვების დამზადების გაფართოება, ყველა საკვები კულტურის მოსავლიანობის გადიდება“.

საქართველოს მეცხოველეები პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მევენახეთა და მეჩაიეთა მხარდამხარ, რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა მხარდამხარ განვლილ ხუთწლედში ახალი წარმატებები მოეპოვებინათ. გატარებული დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების შედეგად მერვე ხუთწლედში რესპუბლიკამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მაჰყიდა 57 ათასი ტონა ხორცი, 42 ათას ტონაზე მეტი რძე და 25 მილიონი ცალი კვერცხი, ორი ათას ტონამდე მატყული. მერვე ხუთწლედის უკანასკნელ წელს ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი წითელწყაროს, გორის, გარდაბნის, გაგრის, ბოგდანოვკის, ვანის, ხელვაჩაურისა და სხვა რაიონების მეცხოველეებმა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მეცხოველეები ჩამორჩებიან პროდუქტების წარმოებაში. ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას, პირუტყვის იაფი საკვების წარმოებას. უსაკვებოდ კი, როგორც იტყვიან ხოლმე, ძროხა რძეს ვერ მოგვცემს.

გასული წლის მაგალითებით ვრწმუნდებათ, რომ მოწინავეთა გვერდით ჩამორჩენილ საზოგადოებრივ მეურნეობათა რიცხვი არც თუ ისე მცირეა. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკმაო რაოდენობით ვერ იმარაგებენ თივას, ნამჯას, სილოსს, საკვებ ძირხვენებს, ბევრგან პირუტყვის საკვები ძალზე ძვირი უჯდებათ, რაც უარყოფითად მოქმედებს მეცხოველეობის რენტაბელობაზე.

ცნობილია, რომ სიმინდი პირუტყვის საუკეთესო საკვებია, მაგრამ ამ კულტურას მთელ რიგ რაიონებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. საზოგადოებრივი მეურნეობები თესვას აგროვადებში არ ატარებენ, ვერ უვლიან სათანადოდ ნათესებს და წლობით დაბალ მოსავალს იღებენ. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში დიდი რაოდენობით რჩება დაუმუშავებელი სიმინდის ნათესები, დროულად არ ატარებენ კულტივაციას, თოხნას. ზოგან კი ნათესებს სულაც არ თოხნიან და შემდეგ შამბორეულ ნათესებს სასილოსედ ინახავენ. ეს არასწორი პრაქტიკაა და იგი ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

სამარცვლე და სასილოსე სიმინდს აგროწესების სრული დაცვით უნდა ვუვლიდეთ და მაღალ მოსავალს ვიღებდეთ. რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საზოგადოებრივი მეურნეობანი, სადაც სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის უხვ მოსავალს იღებენ. მათი გამოცდილება ყველამ უნდა გადაიღოს. მაგრამ, სამწუხაროდ, გეგეჭკორის, საგარეჯოს და მთელ რიგ სხვა რაიონებში ჯერ კიდევ სიმინდის დაბალ მოსავალს იღებენ. გეგეჭკორის რაიონს ყოველგვარი პირობები აქვს იმისათვის, რომ სიმინდის მწვანე მასის და მარცვლის უხვი მოსავალი მიიღოს, მაგრამ აქ ასე როდია. შარშან რაიონში ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 10,5 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, ხოლო სასილოსედ — 46 ცენტნერი მწვანე მასა.

საგარეჯოს რაიონს უკანასკნელ წლებში საკმაო სარწყავი მიწები შეემატა. ეს საკვები კულტურების უხვი მოსავლის მიღების მტკიცე გარანტიას იძლევა, მაგრამ შარშან ჰექტარზე აქ მხოლოდ 20 ცენტნერი საკვები ძირხვენები მიიღეს, ხოლო სასილოსე სიმინდის მწვანე მასა — 45 ცენტნერი.

უხეში საკვები პირუტყვის კვების რაციონში ერთ-ერთი ძირითადია. უხეში საკვების უხვად წარმოებისათვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნათესი ბალახების წესიერ მოვლასა და აღებას, ბუნებრივი ბალახების უდანაკარგოდ თიბვასა და დაზვინვას.

მიმდინარე წლის გაზაფხული ერთობ ხელსაყრელი იყო ბალახების უხვი მოსავლის მისაღებად. რომ იტყვიან, ქვაზეც კი ბალახია ამოსული. ახლა მთავარია უდანაკარგოდ გავთიბოთ ბალახი და დროულად დავზვინოთ თივა. წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 995.069 ტონა უხეში საკვები. აქედან 417.659 ტონა ბუნებრივი და ნათესი ბალახები უნდა მივიღოთ. თიბვა დაიწყო. ეს საქმე კარგად მიმდინარეობს წითელწყაროს, სიღნაღისა და სხვა რაიონებში. თუ გვინდა, რომ ყუთიანი თივა ბევრი მოვიმარაგოთ, საჭიროა ყველგან — ეზოსპირებში, ფერმებებზე, ღარტაფებში, ყანისპირებში მოუთიბავი არ დავტოვოთ ბუნებრივი ბალახი, დროზე გავაშროთ და დავზვინოთ. ნათესი ბალახებიც ასევე აგროწესებით დადგენილ ვადებში უნდა ვთიბოთ, გავაშროთ და დავზვინოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში უკვე გაჩაღდა პურეულის მკა. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ძვირფასი საკვებია ნამჯა. ამოცანა ახლა ის არის, რომ პურეულის დროულად და უდანაკარგოდ აღებასთან ერთად ყოველი ღონისძიებით ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ნამჯის მთელი რაოდენობა შევაგროვოთ და სათანადო ადგილზე დავზვინოთ. არცერთი კილოგრამი ნამჯა უქმად არ უნდა დაიკარგოს. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მექანიზატორებმა და საკვებმომპოვებლებმა. რესპუბლიკის მექანიზატორებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის მექანიზატორს გ. ლეონიძაშვილს, რომ უდანაკარგოდ აიღონ პურეული და დაზვინონ ნამჯა. იმედია — ინიციატორიცა და მხარდამჭერიც პირობას უთუოდ შეასრულებენ.

ამას წინათ წითელწყაროში გაიმართა რესპუბლიკის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნებისა და ახალგაზრდა მეცხოველეების თათბირ-სემინარი, რომელმაც განიხილა მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნაში კომკავშირელთა და ახალგაზრდათა მონაწილეობის საკითხი. ახალგაზრდებმა ვალდებულება იკისრეს მომდინარე წელს პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში საპატიო წვლილი შეიტანონ, თავიანთი ძალებით დიდი რაოდენობით დაამზადონ უხეში და წვნიანი საკვები. რესპუბლიკის ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სიტყვას საქმედ აქცევს.

საქართველოს სოფლის რაიონების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოების, ყოველი კომუნისტის, თვითეული მშრომელის საპატიო ვალია ორგანიზატორული ნიჭი და უნარი არ დაიშურონ იმისათვის, რომ ახალი ხუთწლედის პირველ წელს, საქართველოს საიუბილეო წელს, მუშაობა ისე წარმართონ, რომ საფუძველი ჩაუყარონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

საქართველოს მეცხოველეებო, საკვებმომპოვებლებო, სოფლის ახალგაზრდებო! მოდით მთელი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, მაღალხარისხოვანი, იაფი პროდუქტების საწარმოებლად.

ᲙᲣᲗᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲖᲔ



ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ შრომობს ახალ ხუთწლედში თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი. სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის დაგალებათა ვადამდე შესრულებისათვის თანდათან ფართოვდება. ამ შეჯიბრების ავანგარდშია კომუნისტური შრომის დამკვრელი, მღარავი მიხეილ კალანდაძე. ჭვრეტილ წელია იგი საწარმოში შრომობს. ამ ხნის მანძილზე მას ყოველთვის სამაგალითო მაჩვენებლები აქვს. სურათზე: კომუნისტური შრომის დამკვრელი, მღარავი მ. კალანდაძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გერმანელ მეგობრებთან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობაზე გაემგზავრა

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობაზე 14 ივნისს მოსკოვიდან ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. მ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ა. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ხ. ᲖᲝᲚᲝᲢᲣᲮᲘᲜი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. კ. ვ. ᲠᲣᲩᲐᲙᲝᲕი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. პ. ა. ᲐᲑᲠᲐᲡᲘᲛᲝᲕი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა გ. ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘᲡ, ვ. ვ. ᲒᲠᲘᲨᲘᲜᲘᲡ, ა. პ. ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲜᲙᲝᲡ, ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ, თ. დ. ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲕᲘᲡ, კ. ტ. ᲛᲐᲖᲣᲠᲝᲕᲘᲡ, ა. ა. ᲞᲔᲚᲨᲔᲓᲘᲡ, ნ. ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ, დ. ს. ᲞᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ, მ. ა. ᲨᲣᲚᲔᲠᲗᲘᲡ, ა. ნ. ᲨᲔᲚᲔᲞᲘᲜᲘᲡ, ი. ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘᲡ, პ. ნ. ᲓᲔᲛᲘᲩᲘᲕᲘᲡ, დ. თ. ᲣᲨᲐᲙᲝᲕᲘᲡ, ი. ვ. ᲙᲐᲞᲘᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ, კ. თ. ᲙᲐᲢᲣᲨᲔᲕᲘᲡ, მ. ხ. ᲨᲝᲚᲝᲛᲔᲜᲪᲔᲕᲘᲡ და სხვებმა. (საკდესი).

ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲪᲐᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲘᲚᲓᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საქართველოს 50 წლისთავის ზეიმის დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოდა. შრომის წითელი დროშის ორდენით.

14 ივნისს გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც თეატრის კოლექტივს გადასცეს ეს მაღალი ჯილდო.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ᲛᲔᲯᲐᲕᲜᲐᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲐᲕᲖᲐᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტიის პირველი მაისის რაიონის პირველი მდივანი ბ. ᲒᲠᲘᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობები.

კრება გახსნა თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ᲒᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲛ.

ამხ. ვ. პ. ᲛᲔᲯᲐᲕᲜᲐᲫᲔᲛ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეკრებილთა ტაშის გრიალში თეატრის დროშას მიაბნია შრომის წითელი დროშა ორდენი. მან გულთბადად მიულოცა თეატრის კოლექტივს მთავრობის მაღალი ჯილდო და აღნიშნა თეატრის დიდი დამსახურება რუსი და ქართველი ხალხების დაახლოების საქმეში, რუსული კლასიკური და საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების ფართო პროპაგანდაში.

რუსულ თეატრს საქართველოში, თქვა ვ. მეჯავნაძემ, მდიდარი ტრადიციები აქვს, მან ახლახან აღნიშნა თავისი არსებობის 125 წლისთავი. გრიბოედოვის სახელობის თეატრი ღირსეულად განაგრძობს რუსული თეატრალური ხელოვნების შესანიშნავ ტრადიციებს, დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში.

ამხ. მეჯავნაძემ თეატრის კოლექტივს უსურვა დიდი შემოქმედებიდან წარმატებანი კეთილშობილურ მუშაობაში და გამოთქვა რწმენა, რომ გრიბოედოვის სახელობის თეატრი ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი თანამედროვის მაღალი მორალური თვისებების აღზრდაში, ყოველ ღონეს ახმარს, რათა განახორციელოს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. შენდელიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ბურმისტროვა, გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი შ. გაბესკირია. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივის, მთელი ქართული თეატრალური ხელოვნების შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ კვლავაც მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შემდგომ განვითარებას, შექმნიან შთამბეჭდავ, ჩვენი სახელოვანი ეპოქის შესაფერის სპექტაკლებს.

(საქდესი).

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲬᲔᲚᲡ გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში ისეთი ხელსაყრელი ამინდებია, რომ, როგორც იტყვიან, ქვაზეც კი ბალახი ამოვიდა. წითელწყაროელებმაც არ დააყოვნეს, მინდვრად გავიდნენ და დაიწყეს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა. ეს საქმე რაიონში პირველებმა ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოს კალის, ჯაფარიძის, წითელწყაროს ლენინის სახელობის, გამარჯვების კოლმეურნეობებმა დაიწყეს. საზოგადოებრივ მეურნეობებში კარგად უვლიან საკვები ჭარხლისა და სიმინდის ნათესებს.

კოლმეურნეობათა მთიბავები მანქანებით თიბავენ ნათეს ბალახებს, ხოლო სადაც მანქანები ვერ უდგება, იქ ახალგაზრდები ხელით (ცილავენ ბუნებრივ ბალახს. მოუთიბავს არ ტოვებენ გზის პირებსა და ტყის პირებს, მინდორსაცავი ტყის ზოლების ხეების ქვეშაც, თიბავენ ნოყიერ ბალახს. საკვებმომპოვებლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირუტყვს უხვად ჰქონდეს ნოყიერი საკვები.

წითელწყაროს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები წელს პირუტყვისათვის 15.000 ტონა თივას, 25.000 ტონა ნამჯას, 50.000 ტონა სილოსს, 15.000 ტონა საკვებ ჭარხალს დაამზადებენ. აქედან რაიონის ახალგაზრდები დამზადებენ 10 ათას ტონა თივას, 15 ათას ტონა ნამჯას, 30 ათას ტონა სილოსსა და 10 ათას ტონა ჭარხალს.

ამ დიდი ვალდებულების გასანაღდებლად რაიონის კოლმეურნეები — დიდი და პატარა — ერთსულოვნად დაიჯაჭვნენ. მოსავლის აღების წინ პურის ყანების ირგვლივ თიბავენ ბუნებრივ ბალახს. არც ფერდობებსა და ღარტაფებში ტოვებენ ბალახს გაუთიბავს. მანქანებით კი ნათეს ბალახებსა და ვაკე ადგილებში ბუნებრივ ბალახებს თიბავენ. საკვების დაგროვებაზე ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. რაიონში უკვე გათიბულია 2.000 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახები, დამზადებულია 5.000 ტონა საუკეთესო ხარისხის თივა.

თიბვაში დაწინაურდნენ ზემომაჩხაანელი საკვებმომპოვებლები. აქ უკვე დამზადებულია 800 ტონა თივა, ჯაფარიძელებმა დაამზადეს 400 ტონა, ზემო ქედსა და ქვემო ქედში დამზადებულია 250-250 ტონა, არხილოსკალაში — 200 ტონა, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 200 ტონა, გამარჯვების კოლმეურნეობაში — 200 ტონა და სხვ.

წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ესპარეტის ნათესებს კარგად მოუარეს და ახლა მწვანე მასას მანქანებით იღებენ.

ᲕᲚ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ესპარეტის მანქანებით აღება წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ბ. ᲐᲠᲪᲔᲣᲚᲘᲜᲘᲡᲘᲡ.



ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვიდან საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის მიწვევით პარიზში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გ. ტ. ბერეგოვოი, გ. ა. ჟუკოვი, ვ. ლ. კუდრავცევი, ა. გ. პეტროშჩევი, ზ. გ. სარალიძე, მ. ა. სტელმახი, ა. ბ. ჩაკოვსკი. (საკდესი).

◆

ᲜᲔᲞᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 14 ივნისი. (საკდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა ნეპალის მეფე მახენდრა ბირ ბიკრამ შაჰ დევა, რომელიც მოსკოვში მიემგზავრება. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სტუმარი იქნება.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲠᲐᲠᲘ

ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ რა სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რესპუბლიკის ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებისა და გადამუშავების სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობა — ჭარხნები და კოლმეურნეობები მყარ საფუძველს უყრიან ხუთწლედის პირველი წლის იმ დავალებათა შესრულებას, რომ მოკრიფონ და გადამუშაონ 27 ათასი ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული.

5 ივნისისათვის შემქიდროებულ აგროვადებში შესრულდა ეთერზეთოვანი კულტურების რგვის გეგმა. ეს კულტურები დაიჩრგა 2.850 ჰექტარზე ნაცვლად 2.637 ჰექტარისა. გეგმის გადამეტებით ეთერზეთოვანი კულტურები დაიჩრგვება 400 ჰექტარზე.

ეთერზეთოვანი კულტურების რგვაში თავი გამოიჩინეს თელავის, ყვარლის, ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებმა, აგრეთვე სპეციალიზებულმა საბჭოთა მეურნეობა-ჭარხნებმა.

ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲠᲐᲠᲘ

მაღალ დონეზე განხორციელდა აგროტექნიკური ღონისძიებანი ვარდის პლანტაციებში. ეთერზეთოვანთა ჭარხნების ხარისხოვნებმა მომზადებამ მუშაობისათვის ახალ ხეზონში უზრუნველყო ნედლეულის მოკრეფისა და გადამუშავების გეგმის შესრულება. რესპუბლიკაში მოკრეფილი და გადამუშავებულია 530 ტონა ვარდის ფურცელი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 490 ტონისა.

ახლა რესპუბლიკის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა-ჭარხნებისა და კოლმეურნეობების კოლექტივები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დადგენილ აგროვადებში შეასრულონ ყველა სამუშაო გერანის, რეჰანისა და პიტნის პლანტაციებში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა იმის საწინდარია, რომ წარმატებით შესრულდება საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. (საკდესი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ა. Ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲔᲑᲡ

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო 12–13 ივნისს ესტუმრა საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრას ხმელთაშუა ზღვაში. მას ახლდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი.

კრეისერ „ძერჟინსკზე“ თავდაცვის მინისტრი შეხვდა ესკადრის სარდლობასა და ხომალდების მეთაურებს, ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინის სახელით მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა სამხედრო მეზღვაურებს და მოაწყო თათბირი ესკადრის წინაშე მდგომი ამოცანების თაობაზე.

თათბირის მონაწილეებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მზად არიან შეასრულონ ყოველი საბრძოლო ამოცანა და ყოველთვის იდგნენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. (საკდესი).



თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველვყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ კრიტიკული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

კომუნისტები და პარტიული კრება

ახლა, როცა ხელთა გვაქვს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი — მომქმედების ნათელი და კონკრეტული პროგრამა, პირველად პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კიდევ უფრო ამაღლონ კომუნისტების, ყველა მშრომელის აქტივობა, დაარაზმონ ისინი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიას კომუნისტურ მშენებლობაში თავისი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლის წარმატებით შესრულების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნია კომუნისტთა მაღალი შეგნება და აქტივობა, პარტიულ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა, განხილვასა და განხორციელებაში ყველა კომუნისტის საქმიანი მონაწილეობა, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება.

ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს პარტიული კრებების, როგორც კომუნისტთა პოლიტიკური აღზრდისა და წრთობის სკოლების, როლის ამაღლებას.

როგორ ვამზადებთ და ვაწყობთ პარტიულ კრებებს „საგუშაგოზე“ მაღაროთა სამმართველოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც თავის რიგებში 155 კომუნისტს აერთიანებს?

ყოველთვის მტკიცედ ვიცავთ პარტიული კრებების მოწვევის ვადას, რაც სკკპ წესდებით არის გათვალისწინებული. ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კრებების მომზადებას, მათ მაღალ დონეზე მოწყობას, ვცდილობთ კომუნისტთა განსახილველად გავიტანოთ ისეთი საკითხები, რომლებიც აინტერესებთ და აღელვებთ მათ, მთელ კოლექტივს.

კრებებზე განსახილველი საკითხების შერჩევისას გულისყურით ვუსმენთ კომუნისტთა საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს, ვითვალისწინებთ წარმოების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს.

ჩვენი აზრით, განსახილველმა საკითხებმა რაც შეიძლება ფართოდ უნდა მოიცვას შინაპარტიული ცხოვრება და საწარმოო საქმიანობა.

როგორც ცნობილია, წარმოება კომუნისტთა მთავარი საზრუნავია, მარტო ბოლო ხანს კრებებზე განვიხილეთ შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების, კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის საკითხები.

უკანასკნელ ხანებში ჩვენთან დანერგილ სიახლეთაგან საგულისხმო თემატური ღია პარტიული კრებები. უკვე მოეწყო ასეთი კრებები თემებზე: „ვ. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების შესახებ“, „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება გადავაქციოთ თვითეული მუშაკის ქცევის ნორმად“, „სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ლენინური პრინციპები“.

თემატურმა კრებებმა მაღალი აქტივობით ჩაიარა და მათს მომზადებაში კომუნისტთა დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. კრებებს კომუნისტთა გარდა ბევრი უპარტიო აქტივისტი ესწრებოდა.

როგორც კრებაზე, ისე ბიუროს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესწავლა-მომზადებისათვის ვყოფთ კომისიას 5-7 კაცის შემადგენლობით, საკითხების მოცულობის მიხედვით, ამთვალ, როგორც წესი, ერთი ან ორი კაცი უსათუოდ ახალგაზრდა კომუნისტია. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს პარტიბიუროს ერთ-ერთი წევრი. როცა საკითხი უკვე ძირითადად შესწავლილი და მომზადებულია, რასაც, როგორც წესი, კრების მოწვევამდე შვიდი დღით ადრე უზრუნველვყოფთ, ვიწვევთ საკითხის შემსწავლელი კომისიის სხდომას. ამ სხდომაზე ვისმენთ გაწეული მუშაობის ძირითად შედეგებს, ვაკეთებთ მოხსენების ძირითად მონახაზს, ვინიშნავთ კომისიის წევრთა წინადადებებს ღონისძიების პროექტის შესახებ. ამავე სხდომაზე გამოიყოფა მომხსენებელი პარტიული კრებისათვის.

განცხადებას კრების მოწვევის შესახებ დღის წესრიგის აღნიშნით 5-6 დღით ადრე ვაკრავთ თვალსაჩინო ადგილას. ანალოგიურ განცხადებებს აქვეყნებენ საუბნო პარტორგანიზაციები. ამ გზით ვაღწევთ კრებებზე უკლებლივ ყველა კომუნისტის დასწრებას, რაც კომუნისტთა ფორუმების მაღალ დონეზე წარმართვისა და შინაპარტიული დემოკრატიის დაცვის აუცილებელი პირობაა.

ცხადია, კრების მოწვევის პრაქტიკაში არცერთი დეტალი მეორეხარისხოვანი არ არის. ჩვენ, მაგალითად, გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კრების პრეზიდიუმის არჩევას. ვცდილობთ ყოველ კრებაზე მის შემადგენლობაში ავირჩიოთ სხვადასხვა ამხანაგი, რათა ყოველ მათგანს შეეძლოს გამოსვლა ხალხის წინაშე და კრების მსვლელობისადმი ხელმძღვანელობა.

კომუნისტები სულ უფრო პრინციპულად და საქმიანად მსჯელობენ განსახილველი საკითხების გარშემო. ჩვენთან დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ე. წ. „შტატიანი“ მომხსენებლებისა და მოკამათეების სიის წინასწარი შედგენა. ამოქმედდნენ და „ალაპარაკდნენ“ ის კომუნისტები, რომლებიც ადრე პასიურობდნენ. სულ უფრო მეტად აქტიურობენ, კრიტიკული შენიშვნებითა და საქმიანი წინადადებებით გამოდიან წარმოების **რგიონი** მუშა-კომუნისტები — ვეგორაბგაჩყვანები ნიკოლოს და შაქრო გურეშიძეები, ივანე შვანგირაძე, გიორგი ზვიადაძე, გიორგი გელენიძე, კირილე ზარქუა და სხვები. მაგალითად, კომუნისტ ნ. გურეშიძის წინადადებით გადაკეთდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის პროფილი, რამაც უზრუნველყო მადნის შეუფერხებელი ტრანსპორტირება, ხოლო გ. ზვიადაძის კრიტიკულ გამოსვლას ის შედეგი მოჰყვა, რომ № 1 მაღაროში მოკლე ვადაში დადგეს მძლავრი ვენტილატორი.

პარტიული კრების ავტორიტეტი და ქმედითობა სულ უფრო იზრდება იმის შედეგად, რომ რეგულარულად ვაწყობთ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შეღწევებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება უყრადღებით განიხილავს საამქრო პარტორგანიზაციების მიერ დაყენებულ მომწიფებულ საკითხებს. გუმბრინის საფქვავი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ წარმოების პარტბიუროს მიმართვა, რათა ღია პარტიულ კრებას განეხილა დაფქული გუმბრინის გამოშვების გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა საკითხი. ჩვენც მივესალმეთ ასეთ ინიციატივას. კრებისათვის საკითხის მომზადებაში შვიდმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მოხსენებით [illegible] გამოვიდა საფქვავი ქარხნის [illegible] როსი ჯ. მაღლაფერიძე, ხოლო კამათში მონაწილეობდა 14 კაცი. ორატორებმა გულახდილად და გაბედულად ილაპარაკეს მაღაროების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების, ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების, რკინიგზის ვაგონების მიწოდების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, მათ მკაცრად გააკრიტიკეს საწარმოო და შრომის დისციპლინის დამრღვევები. ისე რომ საკითხის განხილვამ პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. მიღებულ იქნა კონკრეტული ის საქმიანი დადგენილება, რომლის შესრულებით თვიდან თვემდე იმატა დაფქული გუმბრინის გამოშვებამ, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებასა და მათდამი მოშთხოვნელობის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი საკითხების განხილვამ, როგორიც არის კომუნისტთა ავანგარდული როლი, მათი პირადი მაგალითი შრომასა, სწავლასა და ყოფაცხოვრებაში. პრაქტიკაში დავნერგეთ კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა და განხილვა. ისიც სათქმელია, რომ ღია პარტიულ კრებაზე განვიხილეთ შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში მშობელთა როლისა და პასუხისმგებლობის საკითხი, რასაც სასურველი შედეგი მოჰყვა.

ამ ოციოდე დღის წინათ პარტიულ კრებაზე დიდი სკკ-ბაასი გაიმართა მაღაროელი კომუნისტების ავანგარდული როლის შემინიციატივებ. [illegible] საკითხებზე. [illegible] ოთხ [illegible] ყოველ [illegible] ინიციატივა [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] ეს

ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲐ. ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲡ 20 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲗᲐ ᲣᲛᲐᲠᲐᲕᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗ 50 ᲐᲗᲐᲡᲘᲝ ᲛᲣᲨᲐ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲘ.

ᲛᲐᲠᲗᲣ ᲨᲠᲗᲕᲜᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ 330 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲜᲘᲡ ᲛᲔᲢᲠ ᲬᲧᲐᲚᲬᲧᲘᲗᲘ 120 ᲡᲐᲮᲔᲜᲓᲐᲛ ᲒᲔᲛᲘ.

ᲛᲗᲚᲝᲜᲐᲓᲐᲛ ᲙᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲘᲛᲗᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲤᲢᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲬᲣᲠᲕᲔᲚᲘ 3 ᲐᲗᲐᲡᲘᲗ ᲛᲔᲢᲠ ᲒᲔᲛᲘ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲐᲬᲔᲜᲓᲘᲐᲡ 27 ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲒᲘᲒᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲘᲑᲘ ᲓᲐᲪᲣᲠᲐᲕᲔᲜ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ, ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲙᲣᲑᲘᲡ, ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲘᲡ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲠᲒᲐ. ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ, ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲗ, ᲠᲘᲫᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲩᲘᲗ. ᲛᲝᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲝᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ᲛᲧᲐᲠᲘ ᲤᲣᲗᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲛᲠᲔᲩᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲠᲒᲘᲐ. ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ᲛᲧᲐᲠᲘ ᲤᲣᲗᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.



„ᲜᲝᲔᲘᲡ ᲓᲝᲘᲩᲚᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲜᲝᲔᲘᲡ ᲓᲝᲘᲩᲚᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲡ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ 1.500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲣᲨᲐ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ, ᲘᲜᲢᲘᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ „ᲜᲝᲔᲘᲡ ᲓᲝᲘᲩᲚᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ Რ. ᲨᲘᲜᲒᲔᲠᲛᲐ ᲗᲐᲮᲜᲐᲒᲐᲡᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ 1.500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲣᲨᲐ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ, ᲘᲜᲢᲘᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲣᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ.

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲔᲠᲗᲝᲛᲝᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲧᲐᲠᲘ ᲤᲣᲗᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲪᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ. ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲧᲝᲠᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲠᲝᲜᲐᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ. ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲠᲐᲩᲮᲝᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲤᲠᲐᲤᲘ ᲪᲔᲛᲘᲗᲘᲗ ᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲡᲙᲣᲚᲝ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲕᲬᲘᲠᲕᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲕᲬᲘᲠᲕᲘ

თეირანის სცენაზე

დიდი წარმატებით

თეირანი, 14 ივნისი. (საკადრესი). დედაქალაქის რუდაქის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით ჩაიარა ბალეტ „გედის ტბის“ პრემიერამ, რომელიც დადგეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვასტანგ ბაბუკიანმა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ვერა წიგნაძემ. მაყურებელმა მხურვალედ მიიღო ბალეტი, რომელიც პირველად დაიდგა ირანის სცენაზე.

სოფლის სიახლენი

ლენტეხი. (საკ. კორ.). რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელს კიდევ ერთი სიახლე შეემატა. სოფელ გვიმრალში გიხსნა ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკა სოფლის ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად გადაქცა, დღითიდღე იზრდება მკითხველთა რაოდენობა.

ტყიბული. (საკ. კორ.). ხრესელელმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. სოფლის ცენტრში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი აფთიაქი.

აფთიაქი გარდა ხრესელისა, მოშახურებას უწევს სოფლებს ლეღვას, ბეეთს, ძუყნურსა და ახალდაბას.

ლექციების ციკლი

ყვარელი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელთა ფართო აუდიტორიისათვის მოეწყო ლექციების ციკლი თემაზე — „საზოგადოების როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. საინტერესო ლექციები წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ, უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ა. აბაშიძემ და ო. ბაზაზოვამ, ყვარლის რაიონის პროკურორმა ფ. მოლოდინაშვილმა.

ასეთივე ლექციების ციკლი მოეწყო სოფელ ჭიკანის კოლმეურნეობაში. ლექციებმა მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

იღბლიანი ბილეთები

კუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისში მცხოვრებმა ზ. კ. მანგაძემ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1971 წლის მეოთხე გამოშვების 47488 სერიის № 008 ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ჭიათურის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა შ. ჭონიშვილმა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1971 წლის მეხუთე გამოშვების 50367 სერიის № 221 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

შ. ნაცვლიშვილი. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს ინსპექტორი.

ახალი ნაკლსაღები

თელავი. (საკ. კორ.). ჯუღაანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. ქოზაშვილი) შარშან ახალი წყალსადენის გამოყვანასა შეუღება „დიდხევიდან“, რომელიც სოფელს 7 კილომეტრით არის დაშორებული.

ამ დღეებში დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა და ცივი ანკარა წყალი წამოვიდა ჯუღაანისაკენ. წყლის დებიტი წამში 8 ლიტრს შეადგენს, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ორასკომლიან სოფელს.

საქართველო დარგებიდან

ყალბისმქმნელები დაისაჯნენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჩვენი გაზეთის 1970 წლის 24 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით „ყალბისმქმნელები“, რომლებიც ეხებოდა სოფელ ითხვისწერი (ჭიათურა) მცხოვრებ ალ. აბაშიძის დანაშაულებრივ საქმიანობას. იგი ზოგიერთ გაიძვერა თუ გულუბრყვილო ადამიანებს უკეთებდა დაბადების ყალბ მოწმობებს, რომლებითაც ახერხებდნენ მოხუცებულობის პენსიის ხუთი-ათი წლით ადრე დანიშვნას. ყალბისმქმნელებმა ამ ხერხით შეძლეს 100 ათას მანეთზე მეტის მიტაცება.

გამოძიებით დანაშაული დადასტურდა. გამოძიების პროცესში მიტაცებული თანხის დიდი ნაწილი დაიფარა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ უმაღლესი სასამართლოს წევრის ზ. კიკაძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო მხარადმდებლის, ქ. ჭიათურის პროკურორის შ. მიროტაძის მონაწილეობით ჭიათურაში განიხილა ყალბისმქმნელების საქმე. პროცესზე თვენახევარს გრძელდებოდა.

მთავარ დამნაშავეს ალ. აბაშიძეს სახელმწიფო თანხების დიდი რაოდენობით მიტაცებისათვის მიესაჯა 12 წლით პატიმრობა, ხოლო სხვა დამნაშავეებს 7-8 წლით პატიმრობა თვითეულს. ასეთია ყალბისმქმნელთა ბოლო.

დ. ო. გეწაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტმა დავით ოქროპირის-ძე გეწაძემ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „სულხან-საბა ორბელიანის ენა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა დ. ო. გეწაძისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

მშობლიური ჰეიზაფეები



ძველისა და ახლის კონტრასტი. სვანური მრავალსაუკუნოვანი კოშკის გვერდით დღეს გაშლილია ენგურჰესის მშენებლობა.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.

„პრავდის“ პრიზზე

ტალინი დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. გარდა საბჭოთა 400 სპორტსმენისა, სტარტზე გამოვიდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნები. მიუხედავად წვიმისა, ასპპარეზობის მონაწილეებმა მაღალი შედეგები აჩვენეს.

ჩვენმა თანამემამულემ ბ. გუდაშვილმა ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში. მისი შედეგი იყო 60 მეტრი და 68 სანტიმეტრი. გარდა ბადროს ტყორცნისა, პროგრამაში იყო მძლეოსნობის 31 სახეობა.

წარმატება აშხაგადში

გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ აშხაადში ადგილობრივ „სტროიტელთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ფრედ — 1:1 დაამთავრა შეხვედრა ვილნიუსის „ჟალგირისთან“.

ლიდერობას ინარჩუნებს მოსკოვის „ლოკომოტივი“, რომელსაც 14 თამაშიდან 22 ქულა აქვს. ქუთაისის „ტორპედოს“ ამდენივე თამაშიდან 13 ქულა აქვს.

ამჯერადაც გამარჯვება

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირისა და შოტლანდიის ნაკრებთა შორის. ეს იყო ამ გუნდების მეორე მატჩი, პირველი თამაში შედგა ოთხი წლის წინათ გლაზგოში და დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით 2:0.

გუშანდელ მატჩში სტუმრებმა აჩვენეს ტემპიანი ბრძოლა, „ხანდ ბევრს მოძრაობდნენ მოედანზე და არც გადაცემათა სიზუსტეში მორჩებოდნენ მეტოქეს, მაგრამ აკლდათ კარზე იერიშის სიმძლავრე, მაჯერებლობა. საბჭოთა ფეხბურთელების შეტევები კი უფრო სრულყოფილი იყო და ანგარიშიც მათ ხახსნეს. ეს მოხდა 26-ე წუთზე. ბურთი ევრიუეიხინმა გაიტანა.

მეორე ნახევარი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა, ამჯერადაც საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს 1:0.

სსრ კავშირის ნაკრებში იყვნენ — რუდაკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, მატვიეენკო, კაპლიჩნი, კოლოტოვი, კონკოვი, გ. ნოდია (დოლგოვი), ფედოტოვი, შევჩენკო, ევრიუეიხინი (ხმელნიცკი).

ლიდერები და აუტსაიდერები

საბჭოთა საკლუბო და ოლიმპიურ ნაკრებთა გამოსვლებმა ევროპისა და ოლიმპიურ შესარჩევ მატჩებში, აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. ახლა შეჯიბრებაში მონაწილეთა ერთ ჯგუფს გამართული აქვს ცხრა-ცხრა თამაში, დანარჩენებს — ათ-ათი.

საკავშირო ჩემპიონატების მატჩები განახლდება 18 ივნისიდან. ამ დღეს შედგება ერთი მატჩი ცსკა-სა და ლვოვის „კარპატის“ გუნდებს შორის, 19 ივნისს ითამაშებენ კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“, ხოლო 20 ივნისს შედგება 6 მატჩი, მათ შორის თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ კიევის „დინამო“ დგას — 9 თამაშიდან 15 ქულა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება ერევნის „არარატი“, მაგრამ მას ერთი თამაშით მეტი აქვს გამართული. სამ გუნდს — ბაქოს „ნეფტჩის“, მოსკოვის „დინამოსა“ და ალმა-ატის „კაირატს“ თორმეტ-თორმეტი ქულა აქვთ, ვორონეჟიდან „ზარიასა“ და ცსკა-ს — თერთმეტ-თერთმეტი ქულა. თბილისის დინამოელები ჯერჯერობით მერვე ადგილზე იმყოფებიან. მათ 9 თამაშიდან 10 ქულა აქვთ.

აუტსაიდერები არიან დონეცკის „შახტიორი“ და დონის როსტოვის სკა — ექვს-ექვსი ქულა (პირველს 9 თამაშიდან, მეორეს — ათიდან).

რამდენიმე სტრიქონით

● **საბჭოთა** კავშირში სტუმრად იმყოფება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ეინტრახტი“, რომელიც 13 ივნისს დამარცხდა ვოროშილოვგრადში ადგილობრივ „ზარიასთან“ 0:2.

● **მოსკოვში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთათვის. ოთხმოსასმელიანებით ასპარეზობაში უძლიერესი იყო ნოვგოროდის „სპარტაკის“ გუნდი, ხოლო ორმოსასმელიანებით — ლენინგრადის „დინამო“. ერთეულებში წარმატება ლენინგრადის „დინამოს“ წარმომადგენელს ვ. ფეოდოროვას ხვდა. რვიანებით უძლიერესი იყო „ყალგირისისა“ და „დაუგავას“ ნაკრები.

● **ტორონტოში** გაიმართა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში კანადისა და ბერმუდის კუნძულების გუნდებს შორის. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

● **მოსკოველმა** ჩოგბურთელმა გოგონამ ი. გრანატუროვამ, რომელმაც ამას წინათ პირველი ადგილი დაიკავა საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, წარმატებას მიაღწია აგრეთვე რიგის ღია პირველობაზე ქალთა შორის. მან ფინალში დაამარცხა რუმინელი ი. დიბარი 7:5, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავა.

თვითსაცლელმა გაიტანა

ბარაბეი საგანგებო ადგილია, სადაც მანქანას აყენებენ. ხოლო როცა იგი რომელიმე ორგანიზაციას იკუთვნის, მას სპეციალური შტატი ჰყავს, რომელიც მოვალეა კონტროლი გაუწიოს გარაჟში მანქანების შესვლას და გამოსვლას. სწორედ ამისათვის აძლევენ აქ მომუშავე ადამიანებს ხელფასს. მაგრამ რაში უხდის სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს № 20 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ხელმძღვანელობა (უფროსი შ. კიკალეიშვილი) ფულს ავტობაზის (გამგე ა. მგელაძე) მუშაკებს, თუ ამ დაწესებულების თვითსაცლელი სატვირთო ავტომანქანები ყოველ დროს შეგიძლიათ ნახოთ ქუჩაში — დილის ექვს საათზეც და დამის თორმეტ საათზეც?!

ასე იყო გუშინწინაც. ღამის თორმეტ საათი იქნებოდა. ნოშრევან ჩუთლაშვილი თავის ბიჭნასთან ერთად შაუმიანის ქუჩაზე გადადიოდა. გვიან იყო, და ქუჩაში მოძრაობა თითქმის მიწყნარებული იყო. უეცრად ელვასავით გამოვარდა თვითსაცლელი სატვირთო ავტომანქანა, დაეჯახა ნოშრევან ჩუთლაშვილს, თვლებით გადაუარა, გასრესა, არც შეუნელებია სიჩქარე, თითქოს აქ არაფერიაო, ისე მოკურცხლა.

შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ მილიციის მუშაკები. პატარა ბიჭუნა დასტიროდა ქუჩაში დაგდებულ მამის გაცეცხლებულ სხეულს. მოსაზრებულობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს აგარიის მორიგემ უფროსმა ლეონტენანტმა ა. დონდუამ, მოძკელევმა უფროსმა ლეიტენანტმა შ. ბაციკაძემ, 26 კომბინრის ავტოინსპექციის ინსპექტორებმა უფროსმა ლეიტენანტმა ი. თამამშვილმა და ზემდეგმა მ. ნესრაშვილმა. მათ თვალს მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია, დაეძებდნენ დამნაშავეს და მეორე დღეს 5 საათზე შეაგნეს კვალს. იგი აღმოჩნდა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს № 20 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ავტობაზის თვითსაცლელი სატვირთო ავტომანქანის მძღოლი ვიქტორ მიხეილის-ძე წიკლაური.

ვ. წიკლაურმა ავტომანქანა გარაჟიდან ღილის მ საათზე გამოიყვანა. საკითხავია, რატომ არ დაინტერესდა ავტობაზის ხელმძღვანელობა, თუ რატომ არ დაბრუნდა თავის დროზე გარაჟში თვითსაცლელი?

ბ. გორელი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალისტი და მწერალი

მურთუზ მამედტაგი ოღლი მურადოვი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

რედაქტორი

დ. მამედლიშვილი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ

ბეჭებდაუდებელი

ქარგალეანია გადაუდგა ლაგ წვიმს, მაგრამ ამ პატარა, ახალგაზრდა ქალაქში ერთი წუთითაც არ წყდება ცხოვრების ზაჯისცემა. მთავარ ქუჩაზე მდებარე საბავშვო უნივერმაღის ერთ კუთხეში სკამზე ბრგე ვაჟკაცი ჩამომჯდარა და ფიქრებში წასულა. თითქოს ახალგაზრდობის ერიმული აკრთობსო, დროდადრო თავს მაღლა ასწევს და აქეთ-იქით იცქირება. ვინ იცის, ამ დროს იგი თავის ახალგაზრდობას და ტოლ-ბიჭებში გატარებულ დღეებს იგონებს...

შემომხედა, მიცნო, ნელა წამოდგა, გრძელი ნაბიჯით ჩემკენ გამოემართა და მძლავრი მკლავების მარწუხებში მომიქცია.

არსენა!

— დიახ, ეს არსენ მეკოკიშვილი, ახლო წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავე, ამჟამად კი საგარეჯოს საბავშვო უნივერმაღის დირექტორი გახლდათ.

მოვიკითხე.

— საერთო ჯანმრთელობას არ ვემდური, ცოტათი მუხლები რომ არ მტკიოდეს, — მეუბნება არსენა.

— ალბათ წვიმიანი ამინდის ბრალია,—მივუგებ, და ვიცდილობ ჭმუნვა გავუქარვო.

— რას იზამ, ძმაო, წლებს თავისი მიაქვს, ხუბრობა ხომ არ არის, ექვს ათეულს ერთი ზაფხული-და მიკლია.

რამდენი დრო გასულა!

და იმ წუთს მომაგონდა ჩემი სიჭაბუკეც, როცა რამდენიმე წლით უფროსს, საჭიდაოდ ახალგამოსულ არსენას აჩრდილივით თან დავდევდი და მისი ერთ-ერთი მხურვალე გულშემატკივარი ვიყავი. სადაც უნდა ეჭიდავა მას — დღეობებსა თუ ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში, უმალვე იქ გავჩნდებოდი, ხელისგულების დახეთქვამდე ტაშს ვუკრავდი და შეძახილებით ვამხნევებდი.

შემდეგ იგი დიდ სარბიელზე გავიდა და ადგილობრივი გულშემატკივრები „დაკარგა“. სამაგიეროდ მას ტაშს უკრავდნენ შვეიცისა და ნორვეგიის, საფრანგეთისა და იტალიის, ეგვიპტისა და იაპონიის, ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და რუმინეთის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების ხალხით გაჭედილი დარბაზები, სადაც ზედიზედ ამარცხებდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფალავნებს.

თითქმის ოცდაათ წელს იდგა საჭიდაო ხალიჩაზე არსენა და ისე დატოვა იგი, რომ ერთხელაც არ დაუხრია თავი დამარცხების ნიშნად. ამიტომაც ამკობდენ ჩვენს პლანეტაზე აღიარებულ სპორტსმენს ეპითეტებით: „მსოფლიოზე ყველაზე ძლიერი ადამიანი“, „უნიფორსალური მოჭიდავე“, „ბეჭებდაუდებელი ვაჟკაცი“, „მუხლმოუდრეკელი ფალავანი“.

არსენა ქართული ჭიდაობის გარდა თანაბრად ფლობდა თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, აგრეთვე სამბოს ურთულეს ტექნიკას. დიდ სარბიელზე გასვლამდე ათჯერ მოიკოცა საქართველოს ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში მძიმე წონის ფალავნებს შორის. მის მკერდს ამშვენებს 18 ოქროს მედალი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში სსრ კავშირის ასპარეზობებზე გამარჯვებისათვის. იყო მოლიმპიური თამამშევისა და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

1956 წელს 44 წლის ვაჟკაცმა უკანასკნელად სცადა ბედი საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე, უკანასკნელადვე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და ბეჭებდაუდებელმა დატოვა სარბიელი.

ბ. მეკოკიშვილი თავისი სამუშაო ოთახისაკენ მიპატიჟებს და ჩვენი საუბარიც გრძელდება.... პროფესიულ ჩვევას ვერ ვღალატობ და პატარა ინტერვიუს ვთხოვ სახელოვან ფალავანს.

— არ ბეძნიათ კრიტიკული მომენტი თქვენი სპორტული კარიერის მანძილზე?!

— როგორ არა, — ეღიმება არსენას. — ეს იყო 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე. მესამე წრეში დიდბრიტანელ კ. რიჩმონდს შევხვდი. პარტნიორი ღამაზ, ტექნიკურ ბრძოლაში დავჯაბნე და გამარჯვებაც თითქოს ასლო იყო, მაგრამ... და აქ არსენამ მძიმედ ამოისუნთქა. — უცებ რიჩმონდმა ნახევარხიდზე დამაყენა და მის „ჩატეხვას“ ღამობდა. მესუპალის უზარმაზარი სპორტული დარბაზი ჯერ გაიგუდა, შემდეგ კი აჩოჩქოლდა. პარტნიორი წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას.

— ნუთუ ყველაფერი დაკარგულია? მთელ სხეულში ერუანტელივით დადარცხენ სმენა. მეტოქეებიც ძალა მომეტატა, პარტნიორს ჯერ ხელი გავამვებინე, შემდეგ ზემოდან მოვექეც და ნაიჩაზე გავაკარ.

— რა დაგახსოვდათ ყველაზე მეტად თქვენი ჭიდაობის პერიოდში?

— ესეც ჰელსინკში, მსოფლიო ოლიმპიადაზე იყო. მოჭიდავეებს გვწონიდნენ, როცა ჩემთან ერთი შაგულაშვილი სპორტსმენი მოვიდა და წმინდა ქართულით მიხრა: — ქართველი ხარ, ჩვენებური ხარ! მას მოვუჭერ: — მე კი არა ვარ თქვენებური, არამედ შენა ხარ ჩვენებურიმეთქი (გაგებული მქონდა, რომ ჩემთან მოსაბრე, ცხინილი თურქი მოჭიდავე ათანი წარმოშობით ლაზი იყო).

— მაგრამ თუ საჭიდაო ხალიჩაზე ხათრი არ ვიცოდი, — ხუმრობს არსენა, — ამ „ნაკლს“ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვასწორებდი. მყავდა და მყავს ბევრი მეგობარი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ძალიან ასლო ურთიერთობა მქონდა ჩემს დიდ თანამემამულესთან, საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძესთან. უკანასკნელად გიორგის მისთვის საბჭოდისწერო 1966 წლის გაზაფხულზე თბილისში შევხვდი. ორივეს შლიაპები გვეხურა. თუმცა გიორგის ეს თავსახური შვენოდა, მაგრამ ეტყობოდა მაინც ვერ ეგუებოდა. როცა ერთმანეთი გულმხურვალედ მოვიკითხეთ, გოგლამ სიცილით მითხრა, ეჰ, არსენ, შლიაპები ხელს არ მოგვცეს, თეოლავში წადი და ჩვენთვის კახური ქუდები მოპოვლინეო.

ასეც მოვიქეცი, მაგრამ თელავიდან დაბრუნებულს გიორგი საავადმყოფოში მწოლიარე დამხვდა. დანახვისთანავე მკითხა, რა ქენინო? ამის თქმა და ქუდის გაწოდება ერთი იყო. გაეხარდა, იგი ერთხახს ხელში ატრიალა, შემდეგ ლოგინზე წამოჯდა, თავზე მოიგრო და სიამოვნებით ჩაიბუზუნა: — ყოჩაღ, არსენ, კარგი ქუდი შეგიძენიაო.

მაგრამ, ვაგლახ, რომ გიორგი მის დახურვას ვერ მოესწრო.

— რას იტყვით ქართული ჭიდაობის ახლანდელ მდგომარეობაზე?

— ქართულმა ჭიდაობამ ერთგვაროვად დაკარგა ის ძვირფასი თვისებები, რომლებითაც იგი ადრე იყო ცხობილი: სილამაზე, ემნი, შემტევი სტილი. ამან კი გააფერმკრთალა მისი სანახაობითი მხარე. ჭიდაობა ახლა ხშირად ბღლარუნს ჰგავს. ქულობრივი სისტემა ბორკავს ეროვნული სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის განვითარებას. ნაკლებია ქართული ჭიდაობით ახალგაზრდობის დაინტერესებაც. ახლა ახალგაზრდობა უფრო სხვა სტილის ჭიდაობას ეტანება, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ქართული ჭიდაობა ყველა სპორტსმენის ოსტატობის საერთო საფუძველს წარმოადგენს. ცხობილია — თუ ქართველმა მოჭიდავემ საერთაშორისო ასპარეზობებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ეს იმითაც, რომ ისინი თავიანთ სპორტულ კარიერას თითქმის ყოველთვის ქართული ჭიდაობით იწყებდნენ.

— რაში ხედავთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს?

— ქართულ ჭიდაობას მეტი ყურადღება უნდა, ხოლო მოჭიდავეებს — მუდმივი ზრუნვა. ძიუ-დოს მაგალითი ცხადყოფს, რომ შეიძლება ეროვნული სპორტის რომელიმე სახეობამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვოს, თუ მისი პოპულარობის, ტექნიკის სრულყოფისა და დახვეწისთვის ყოველდღიურად ვიზრუნებთ.

— როგორ იცით, ივლისის პირველ რიცხვებში იწყება სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა. მოკლედ გვითხარით, როგორ ეშზადებოდით პირველი ასეთი სპარტაკიადისათვის, რომლის ჩემპიონსა და რაიონულ პირველობებზე, ამსანაგური შეჯიბრებებზე; რჩევა-დარიგებას ვაძლევ ახალგაზრდა მოჭიდავეებს, ვუნერვავ გამარჯვების რწმენას, ვუზიარებ გამოცდილებას.

— თითქმის ყველაფერი გითხარ, რაც ვიცოდი, მოდი ახლა გიორგიწმინდაში გადავირბინოთ და ჩემი ახალი სახლკარი მოვინახულოთ!

მე ხათრს არ ვუტეხ მეგობარს და ათიოდე წუთში უკვე არსენას სახლში ვართ. შვენის მამა-პაპის ნაფუძარს ახალნაგები ლამაზი ორსართულიანი სახლი. ეზოც ისე კოპწიაფ არის მოწყობილი, როგორც არსენას მშობლებს — სონასა და ფრიდონს ჰყვარებიათ.

— ააშენოთ ღმერთმა, მარტო რას შევძლებდი, მეზობლები და მეგობრები რომ არ დამხმარებოდნენ, — ამბობს მადლიერი არსენა.

აქედან, გიორგიწმინდელი გოლათის სახლიდან, რომელიც მეკოკიანთ უნანის შემაღლებაზე დგას, ხელისგულივით მოჩანს იერის აქოჩრილი ჭალები. ეს რამდენიმე წელია არსენა სოფლის ბოლოს, კახეთის გზატკეცილის პირას გამენებული ვენახის ნაყოფს იმკის. ობლობაში გაზრდილს ბავშვობიდანვე შუუყვარდა შრომა, რასაც არც ახლა ღალატობს. ის რა დღე იქნება, არსენამ სამსახურში მისვლამდე არ წაიშუშაოს ეზოსა თუ ვენახში. შარშან თავის ნაკეთში ხუთ ტონამდე ყურძენი დაკრიფა.

თავშესაფარი არსენას თბილისსა და მოსკოვშიც აქვს. მოსკოვში ეგულება ერთადერთი ვაჟი — გიორგი (იგი ხუთი შვილიდან შემორჩა), რძალი და შვილიშვილი — თავისი პატარა სვანია. თუმცა სპორტის ოსტატს გიორგი მეკოკიშვილს ჭიდაობაში მამის დიდებისათვის არ მიუღწევია, მაგრამ სწავლაში გამიდიო თავი: ჯერ მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია დაამთავრა, შემდეგ ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. არსენა ხშირად მოინახულებს ხოლმე შვილის ოჯახს, მაგრამ დიდ ქალაქში დიდხანს ვერ ძლებს, გული მშობლიური მხარისაკენ მიუწევს.

ახლა აღარ იკითხავთ, როგორ უყვარს პატარა არსენას გიორგიწმინდა, პაპა, ბებია, ტოლ-ამხანაგები? ყველა და ყველაფერი იზიდავს ამ სიცოცხლით სავსე ბიჭს, მაგრამ ჭიდაობა მაინც მისი ტრფიალია. ასაკის კვალობაზე ძალაც ერჩის და ილეთებსაც კარგად ფლობს. სიამოვნებით უცქერის ხოლმე პაპა არსენა თავისი პატარა სეხნიის ჭიდაობას და კიდევაც აქებს: — მარჯვენა ფეხი გამოძკარ, ბიჭო, თეძოზე წამოიღე, კისრულზე წამოიკიდე!.. ესმის ყოველივე ეს პატარა არსენას და ისიც დაბურრაობს მოედანზე. — მაგარი ბიჭია, — სიცილით ამბობს პაპა, — ამას წინათ თავისზე ორი წლით უფროსი ბავშვისთვის ეცემნა და როცა გავეწყვერ, „ასე მითხრა: — ახია იმაზე, ღონე თუ არა აქვს, ენა დაიმოკლოსო.

მოსაღამოვდა. უკანასკნელი ჭიქით კვლავ ვადღეგრძელებ მასპინძლის ოჯახს და გარეთ გამოვდივართ. გიორგიწმინდა-საგარეჯოს გზაზე ხალხი გამოსულა. ისინი შორიდანვე ცნობენ არსენას კოლორიტულ ფიგურას, მიესალმებიან და ეხმიანებიან.

— სალამი ღვთისაა, თქვენც გაგიმარჯოთ ჩემო თანამემამულენო, ყველა კეთილო ადამიანნო!

ბ. ზუკაკიშვილი.



გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველები: მასწავლებელი ი. მეპურეგლიშვილი (თელავი), მეფოლადე ბ. ბერეკაშვილი (რუსთავი), ინჟინერი ელ. გაგუნია (ქუთაისი), ჟურნალისტი თ. ფეფილაძე (ჭიათურა), ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერები და სხვები თავიანთ წერილებში გვეკითხებიან — სად ცხოვრობს ამჟამად ცნობილი ქართველი მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილი, რა საქმიანობას ეწევა, როგორ გრძნობს თავს დიდი სარბიელის მიტოვების შემდეგ?

ჯერ ვაძლევნებთ ნარკვევს, რომელიც პასუხს იძლევა ამ კითხვებზე.

ერთი დღით ქრონიკასთან

... ამ ... ...